

**ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების  
პოეტური სინტაქსის საკითხები -  
რიტორიკული ფიგურები  
ISSUES OF SYNTAX OF PERSONAL LETTERS  
BY NIKOLOZ BARATASHVILI -  
RHETORICAL FIGURES**

მაია ცერცვაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Maia Tsertsvadze**  
Georgian Technical University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

Personal letters by Nikoloz Baratashvili, of which, unfortunately, only eighteen have come down to us, attract our attention not only because they represent extremely important and valuable sources and material for the study of the poet's biography as well as literary heritage, his worldview, attitude, environment and his era, but also due to the fact that they are characterized by a special artistic style. The rich poetic language and stylistic devices applied by the addresser of letters have been pointed out by several scholars and writers.

The study of the artistic language of these letters naturally implies the observation and study of their components, including poetic lexis, poetic semantics, and poetic syntax. In previous studies, we have already paid attention to issues of poetic lexis and poetic semantics, in particular, tropes. A separate study and an article have been devoted to a rather famous and popular letter to Maiko Orbeliani, written with distinct poetic language.

Subject of our research includes elements of poetic syntax in Nikoloz Baratashvili's personal letters, in particular, the proposed paper will be dealing with such a specific and very widespread device of poetic syntax as rhetorical figures.

Rhetorical appeal, rhetorical order, rhetorical exclamation, rhetorical denial, and rhetorical question, i.e. the rhetorical figures frequently used in poet's letters - are compositional components of the text of the letters in question, adding special expression to them. Attention is paid to their artistic function and purposefulness.

We, believe, the study of this part in the poetical syntax of Nikoloz Baratashvili's personal letters is another step towards the study of the poet's artistic language. It contributes to the study of the writing style of the romantic poet, in which, in the opinion of such an authoritative scholar as Grigol Kiknadze, prosaic texts such as his personal letters should be included along with his poetry.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტიკა, პოეტური სინტაქსი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სინტაქსი, რიტორიკული ფიგურები.

**Keywords:** Nikoloz Baratashvili, personal letters by Nikoloz Baratashvili, poetic language in Nikoloz Baratashvili's personal letters, poetic syntax, poetic syntax of personal letters by Nikoloz Baratashvili, rhetorical figures.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, რომელთაგან ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ თვრამეტმა მოაღწია, ყურადღებას იქცევს არა მარტო იმით, რომ ის არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ღირებული წყარო და მასალა რომანტიკოსი პოეტის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის, მსოფლმხედველობისა და მსოფლგანცდის, მისი გარემოცვისა და ეპოქის შესასწავლად, არამედ იმითაც, რომ გამორჩეული მხატვრული სტილისტიკით ხასიათდება. იმ მდიდარ პოეტურ ენასა და გამომსახველობით საშუალებებზე, რომელსაც მიმართავს წერილების ადრესანტი, არაერთმა მეცნიერმა თუ მწერალმა მიუთითა.

აღნიშნული წერილების მხატვრული ენის შესწავლა, ბუნებრივია, გულისხმობს დაკვირვებას წერილების პოეტური ლექსიკის, პოეტური სემანტიკისა და პოეტური სინტაქსის კომპონენტებზე. პოეტური ლექსიკისა და პოეტური სემანტიკის, კერძოდ, ტროპების საკითხებს წინარე კვლევებში უკვე დავეთმეთ ყურადღება. საგანგებო გამოკვლევა და სტატია მიუძღვნით პოეტის ერთ, პოეტიკით გამორჩეულ, მეტად ცნობილ და პოპულარულ წერილს მაიკო ორბელიანისადმი (ცერცვაძე 2019: 47-56). ცალკე განვიხილეთ ასევე მისი რუსულენოვანი წერილების მხატვრული ენაც (ცერცვაძე 2020: 210-221).

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სინტაქსის ელემენტები. კერძოდ, წარმოდგენილ სტატიაში ვისაუბრებთ პოეტური სინტაქსის ისეთ სპეციფიკურ და ძალზე გავრცელებულ სახეობაზე, როგორცაა რიტორიკული ფიგურები. პოეტის წერილებში უხვად გამოყენებული ფიგურები – რიტორიკული მიმართვა, რიტორიკული ბრძანება, რიტორიკული შემახილი, რიტორიკული უარყოფა და რიტორიკული შეკითხვა – განსახილველი ბარათაშვილის ტექსტის კომპოზიციის ელემენტებია და განსაკუთრებულ ექსპრესიას ანიჭებს მას. აღვნიშნავთ მათ მხატვრულ ფუნქციასა და მიზანდასახულობას.

რიტორიკული ფიგურები პოეტიკის (რიტორიკის) ტერმინებია, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ სამეტყველო კონსტრუქციებს, რომელთა მიზანია ფრაზის გამომსახველობის გაძლიერება, განწყობილების გადმოცემა და მისთვის ემოციური ელფერის მიცემა. ისინი გამოყენებიან მხატვრული მიზანდასახულებით როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში (Квятковский 1966: 246).

ციტატების დამოწმებისას ტექსტის გადატვირთვის არიდების

მიზნით ვსარგებლობთ ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული პირადი წერილების ტრადიციული ნუმერაციით. ქრონოლოგია შეესაბამება ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების უკანასკნელ გამოცემაში დაზუსტებულ და მოყვანილ წერილთა დათარიღებას (ბარათაშვილი 2015). კვადრატული ფრჩხილებით აღნიშნულია წერილების სავარაუდო დათარიღება.

წერილი I - [1831 წლის 3 სექტემბრის] წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი II - 1837 წლის თებერვლის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი III - 1838 წლის 6 აგვისტოს წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი;  
 წერილი IV - 1841 წლის 28 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი V - 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი VI - 1842 წლის 2 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი VII - 1842 წლის 31 ოქტომბრის წერილი მაიკო ორბელიანისადმი;  
 წერილი VIII - 1843 წლის 21 აგვისტოს წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი IX - 1844 წლის 15 აპრილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;  
 წერილი X - 1844 წლის 10 მაისის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;  
 წერილი XI - 1844 წლის 23 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;  
 წერილი XII - [1844 წლის 18 აგვისტოდან 20 აგვისტომდე] წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;  
 წერილი XIII - 1845 წლის 9 თებერვლის წერილი მაიკო ორბელიანისადმი;  
 წერილი XIV - [1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე] წერილი მაიკო ორბელიანისადმი;  
 წერილი XV - 1845 წლის 10 აგვისტოს წერილი მაიკო ორბელიანისადმი;  
 წერილი XVI - [1845 წლის] 23 აგვისტოს წერილი ბარბარესაგინაშვილისადმი;  
 წერილი XVII - [1845 წლის 23 აგვისტოს] წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი;  
 წერილი XVIII - [1842 წლის ივლისის პირველი დეკადის] წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი.

### 1. რიტორიკული მიმართვა

რიტორიკული მიმართვა არის სინტაქსური ფიგურა, რომელშიც ყურადღება გადატანილია მიმართვის ობიექტზე და არა შინაარსზე (ლიტერატურისმცოდნეობის... 2012: 263).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში რიტორიკული მიმართვების გამოყენების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

1. „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარ, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!“ (წერილი VIII);

ასე მიმართავს პოეტი თავის ბიძას და წერილების ერთ-ერთ ადრესატს გრიგოლ ორბელიანს განსახილველ წერილში. როგორც ვხედავთ, აქ ადრესატის მთელი დახასიათებაა მოცემული და იგი უკავშირდება 1843 წელს დაღესტნის (ავარიის) მმართველად მის დანიშვნას, რის შემდეგაც იგი ხუმრობით სთხოვდა ახლობლებს, მისთვის გაგზავნილ წერილებში მისი ეს სტატუსი მოეხსენიებინათ. „ჩემი ტიტული არ დაგავიწყდეს Правитель Аварий“, „ზედ უთუოდ დააწერეთ წიგნსა (იგულისხმება

წერილი - მ. ც.) Правителю Аварии“, თორემ არ მივიღებ“ - სწერდა ის გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვს (1797-1855) (ორბელიანი 1935: 68). რაც შეეხება ჰუნების ბელადის ატილას მოხსენიებას მიმართვაში, ისიც გრ. ორბელიანისავე სიტყვებით არის ნაკარნახევი: „ატილას კრესლაზე ვზივარ ძალიან მაგრად, ძალიან. შამილა უნდა იყოს, რომ წამართოს ეს კრესლა“-ო, - ეხუმრებოდა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ის მძას ილიას 1843 წლის 18 ივნისს ხუნძახიდან გამოგზავნილ წერილში (ორბელიანი 1936: 34). ვრცლად ამ საკითხზე იხ.: ბარათაშვილი 2015: 117-119).

2. «Прощай, пустынный Алазанской долины!» (წერილი III) - ასეთი მიმართვით ემშვიდობება ნ. ბარათაშვილი ამ რუსულენოვან წერილში ადრესატს - თავის თანაგომნაზიელსა და გულითად მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს (1818-1875). ვნახოთ, რატომ უწოდებს მას წერილის ავტორი „ალაზნის ველის მეუღაბნოე“-ს.

1838 წელს გაგზავნილ ამ წერილს მიხეილ თუმანიშვილის ხელით მიწერილი აქვს: «10 августа, Цар. Колодцы», საიდანაც ჩანს, რომ ბარათის მიღების დროს ის კახეთში, ახლანდელ დედოფლისწყაროში (ძვ. რუს. Царские Колодцы, საბჭოთა პერიოდში 1991-მდე წითელწყაროში) ისვენებდა. „მეუღაბნოედ“ კი მას იმის გამო იხსენიებს, რომ იგი ავტორია იმავე წელს დაწერილი ღრმა ტრაგიზმით გამორჩეული, ელეგიური ლექსისა „უღაბნო“ (ქართული... 1978: 152).

## 2. რიტორიკული ბრძანება

რიტორიკული ბრძანების სინტაქსური ფიგურა, მსგავსად მიმართვისა, ატარებს სასურველის მნიშვნელობას, თუმცა, ხაზგასმული ბრძანებითი კილოს მეშვეობით, გამოხატავს მთხრობელის ნებას, მიმართულს ობიექტისაკენ (ლიტერატურისმცოდნეობის... 2012: 264).

რიტორიკული ბრძანების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფრაზა: „მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია!“ (წერილი XI).

აქ პოეტი საკუთარ თავს „უბრძანებს“ თვითირონიითა და მეტაფორულად და განუმარტავს, რომ თითქმის ყველა ნათესავ-მეგობრის მისთვის ესოდენ ნანატრ სამხედრო ლაშქრობებში წასვლისა და მონაწილეობის გამო დაცარიელებულ თბილისში სამოქმედოდ მთელი ასპარეზი მას დარჩა.

## 3. რიტორიკული შემახილი

რიტორიკული შემახილის სინტაქსური ფიგურა გულისხმობს, ერთი მხრივ, ამბის ან მოვლენის მკაფიოდ ხაზგასმას, მეორე მხრივ კი გამოხატავს ნათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულებას - მოწონებას, დაწუნებას, აღტაცებას, აღშფოთებას და ა. შ. ხშირ შემთხვევაში მას თან ახლავს შორისდებულები (ლიტერატურისმცოდნეობის... 2012: 265). ვნახოთ მისი მაგალითები განსახილველ ბარათებში:

1. „ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება!“ (წერილი II); 2. „რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!“ (წერილი



II) 3. „ღმერთმა დამიფაროს!“ (წერილი II); 4. „მითამ როდის და რაში არა ვპყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნიმ!“ (წერილი V); 5. „შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“ (წერილი V); 6. „ეს აკლდა ამის ფილოსოფიურს სახეს!“ (წერილი V); 7. „ილია მართლა ტყვედ არის შამილთან!“ (წერილი VI); 8. „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება!“ (წერილი VI); 9. „მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა“ (წერილი VI); 10. „მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა.“ (წერილი VII); 11. „ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ (წერილი VIII); 12. „დახე, ქვეყნის ოხრობას!“ (წერილი VIII); 13. „მამა ეგნატომ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან, ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა. საწყალი!“ (წერილი VIII); 14. „ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ თქმა!“ (წერილი XII); 15. „ნეტა, ვის ნათესავეებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე!“ (წერილი XIII); 16. „აი სამი თთვეა აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა!“ (წერილი XIII); 17. „ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ!“ (წერილი XIII); 18. „ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!“ (წერილი XIII); 19. „ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია!“ (წერილი XIII); 20. „შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავერჩით!“ (წერილი XIV); 21. „ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე, და ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!“ (წერილი XIV); 22. „თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავეები მეყვხართ! განა არა, მოგაგონდებით“ (წერილი XVI); 23. „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ!“ (წერილი XVII).

როგორც ვხედავთ, პოეტის შემორჩენილი თვრამეტი წერილის კვალობაზე რიტორიკული შემახილის სინტაქსური ფიგურის გამოყენების შემთხვევები საკმაოდ ხშირია (23 ნიმუში), რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტიკის ერთ-ერთ სახასიათო ნიშნად უნდა ჩაითვალოს. რომანტიკოსი პოეტის მღელვარე და მშფოთვარე, დიდი განცდებისა და ვნებების მქონე პოეტური ფიგურისათვის ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი. ამ სტილისტიკური ხერხის გამოყენებით წერილებში ის გამოხატავს ამა თუ იმ ემოციას: მწარე განცდას ბედთან შეურიგებლობისა (მაგალითი 1); სოფლის სამდურავს (მაგალითები 2, 10, 12), გულისტკივილს, გამოწვეულს სამშობლოს კოლონიური მდგომარეობითა და რუსეთის იმპერიის სადამსჯელო ოპერაციებში მოძმეთა მონაწილეობით (მაგალითები 4, 5), მწუხარებას შამილის მიერ თანშეზრდილი ბიძის დატყვევების (მაგალითი 7), ასევე ნათესავ-მეგობართა მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის გამო (მაგალითები 15, 16, 17, 18, 21, 22), აღტაცებას დატყვევებული ბიძის შეუდრეკელობით (მაგალითი 9), აღშფოთებას (მაგალითი 6, 8, 19), მწუხარებას ახლობელი ადამიანის გარდაცვალების გამო (მაგალითი 13), უკმაყოფილებას თავისი მდგომარეობითა და უკეთესის ნატვრას (მაგალითები 11, 20), დაქადნებას (მაგალითი 14), ხუმრობანარევე საყვედურს ნათესავისადმი (მაგალითი 23)...

#### 4. რიტორიკული უარყოფა

რიტორიკული უარყოფის სინტაქსური ფიგურა ხშირად წარმოდგენილია უარყოფითი ნაწილაკებით - არ, ვერ და ა. შ. (ლიტერატურისმცოდნეობის... 2012: 265).

განსახილველ ბარათებში ეს სინტაქსური ფიგურა გვხვდება მაიკო ორბელიანთან და გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილ წერილებში და ისინი კვლავაც მისი დიდი გულისტკივილის გამომხატველია თავისი უბედობისა თუ ნათესავ-მოყვარეთა მხრიდან დავიწყების გამო:

1. „არ დაიჯერებ, მაიკო!“ (წერილი VII); 2. „დიახ, ნურავის მოვაგონდები!“ (წერილი XIII); 3. „ნუ გძინავსო!“ (წერილი VIII).

#### 5. რიტორიკული შეკითხვა

რიტორიკული შეკითხვა არ დაისმის იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას პასუხი, თუმცა მას ჰყავს ადრესატი მკითხველის სახით (ლიტერატურისმცოდნეობის... 2012: 265). ანუ, ეს ისეთი შეკითხვაა, რომელიც თავისთავად გულისხმობს პასუხს, რომელზეც პასუხი თავისთავად აშკარაა, ყველასთვის ცნობილია, ადვილად მისახვედრია, საცხებით განსაზღვრულია. შეიძლება ითქვას, ეს არის კითხვითი ფორმით გამოთქმული აზრი, მოსაზრება, დებულება, კითხვითი გამონათქვამი. რიტორიკული შეკითხვა გამოიყენება ამა თუ იმ ფრაზის გასაძლიერებლად და ხაზგასასმელად. მას ახასიათებს პირობითობა - კითხვის გრამატიკული ფორმისა და ინტონაციის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არსებითად მას არ მოითხოვენ.

განსახილველ ბარათებში რიტორიკული შეკითხვების მაგალითებია:

1. „თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო?“ (წერილი VI); 2. „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ (წერილი VII); 3. „რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო?“ (წერილი VII); 4. „ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?“ (წერილი VIII); 5. „ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?“ (წერილი IX); 6. „ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო?“ (წერილი XI); 7. „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა?“ (წერილი XIII); 8. „სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება?“ (წერილი XIII); 9. „არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი წიგნი. იქნება, ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?“ (წერილი XIII); 10. „ჩემი რა ბრალია?“ (წერილი XV); 11. „აგრე გაწითლებაც იქნება?“ (წერილი XV); 12. „აბა, რა გამოგიგზავნო?“ (წერილი XV); 13. „აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ?“ (წერილი XVI); 14. „მე აქაური რა მოგწერო?“ (წერილი XVI); 15. „რომ მემდური, არ ვიცი კი, აქ რა არის, რა მოგწერო?“ (წერილი XVII); 16. „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური?“ (წერილი VIII).

მოყვანილ ნიმუშებში კითხვითი ფორმით გამოხატულია ავტორის ჩვეული სათქმელი და საწუხარი, მისი ემოციური დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის მიმართ: სოფლის ამაოება (მაგალითები

2, 3), ადამიანთა უგულობა (მაგალითი 7), უსაგნობა და სიცარიელე იმდროინდელი ყოფისა (მაგალითები 5, 6, 12, 13, 14, 15) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები გამოირჩევა რიტორიკული ფიგურების, უმთავრესად რიტორიკული შემახილებისა და რიტორიკული შეკითხვების სიჭარბით. ისევე როგორც სხვა სტილისტიკური ხერხები, პოეტური სინტაქსისა და ტექსტის კომპოზიციის ეს ელემენტებიც დიდ ექსპრესიულობას სძენს განსახილველ ბარათებს და ანიჭებს იმ შთამბეჭდავ ძალას, რასაც ის ახდენს მკითხველზე.

ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტიკის ამ რგოლის შესწავლა კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია მისი მხატვრული ენის შესწავლის გზაზე. ის, თავის მხრივ, წაადგება რომანტიკოსი პოეტის სამწერლო სტილის კვლევის საშურ საქმეს, რომელშიც ისეთი ავტორიტეტული მკვლევრის აზრით, როგორცაა გრიგოლ კიკნაძე, პოეტურ ნიმუშებთან ერთად პროზაული ტექსტებიც - მისი პირადი წერილებიც უნდა იქნეს ჩართული.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**ბარათაშვილი 2015:** ბარათაშვილი ნ., პირადი წერილები. მოამზადა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მ. ცერცვაძემ. თბილისი, 2015.

**ლიტერატურისმცოდნეობის... 2012:** ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი. თბილისი, 2012.

**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ., წერილები, ტ. I (1832-1850). ა.გაწერელისა რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1936.

**ქართული... 1978:** ქართული პოეზია, ტ. VI. თბილისი, 1978.

**ცერცვაძე 2019:** ცერცვაძე მ., ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი პირადი წერილის პოეტიკა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. №№3-4, 2019.

**ცერცვაძე 2020:** ცერცვაძე მ., ნიკოლოზ ბარათაშვილის რუსულენოვანი პირადი წერილების პოეტიკა. ჟურნ. „სემიოტიკა“, №19, 2020.

**Квятковский 1966:** Квятковский А.П. Поэтический словарь. <http://feb-web.ru/feb/kps/kps-abc/>. დამოწმება: 25.12.2020.